

K 6364
3

ଓର୍ବଲେଖା
ବିଦ୍ୟାଲୟ


ქართველი ბიბლიოთეკი
სიმღერები
300 წლის განხილვი

ვასო ბიბლიაზვილი

637.8

ვაზი ვასევრა

6.369 | 3



გაცოდილება II

მეცნიერება-გელვინი

№ 3



ქართველი ბიბლიოთეკი საქართველოს მთავრობა
630 წლის 1925

ჩეინ მკითხველ-გლობას, სოცლის გასარცლება ლებას, აგრძელებას და გეიტლებას.

პატივუმულო მმხანაგებო!

გამომცემლობა „საბჭოთა კავკასიონი“ იწყებს „გლობუს მიმდევრული ლიონთეკის“ გამოცემას, რომელიც ჩვენი სოფლის მეურნეობის-უმომავრესობის რეს საკითხების შესახებ დაახლოებით 100-მდე წიგნაკს შეიცავს, და მოგმართავთ თქვენ, მკითხველო-გლეხებო, თხოვნით, გარდა „გლეხის ბიბლიოთეკის“ გლეხთა შორის გაერცელებისათვის ხელის შეწყობისა, აცნობოთ გამომცემლობას ყველა თქვენი სურვილი და შენიშვნები ჩვენი გამოცემების შესახებ:

1) რამდენად გასაგებად არის მოთხოვობილი ამბავი ჩვენს გამოცემებში და რა ცვლილებები და გაუმჯობესება უნდა იყენეს ზორანილი ამ მხრივ გამოცემებში?

2) რამდენად ამოწურულია საესებით საკითხი, საკმაო თვალსაჩინოდ არის შეღენილი სურათები და რა ნაკლი აქვს წიგნაკს ან მხრივ?

3) კიდევ რა ახალი საკითხის გაშუქება არის, თქვენის აზრით, საჭირო შემდეგ გამოცემებში, გამომცემლობის მიერ განზრახულ წიგნაკთა დამატებით და ჩვენი სოფლის მეურნეობის პირობებთან შეფარდებით?

განსაკუთრებულ იმედს არა მარტო „გლეხის ბიბლიოთეკის“ გაერცელებაში, არამედ ჩვენი მკითხველი-გლეხების კოლექტიური სურვილებისა და შენიშვნების გამოაშქარავება-ასახვაში, გამომცემლობა ამყარებს ჩვენს სოფლის მასწავლებლებზე, აგრონომებზე და ბეითლებზე. გამომცემლობა მოგმართავთ თქვენ, ამხანაგო მასწავლებლებო, აგრონომებო და ბეითლებო, და გთხოვთ ამ მიზნით სოფლად მოაწყოთ ხმამაღლა კითხვა „გლეხის ბიბლიოთეკის“ წიგნაკებისა და წაკითხვის შემდეგ—აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ცალკე შენიშვნების და სურვილის ჩაწერა წიგნაკის შინაარსის, სურათების თვალნათლივობის, დამატებითი საკითხების და სხვათა შესახებ. ეს შენიშვნები უნდა გადმოეგზავნოს გამომცემლობას.

გამომცემლობა დიდის მაღლობით მიიღებს და გამოიყენებს ყოველგვარ რჩევას და სურვილს ამხანაგ გლეხებისა და სოფლის ყველა მუშაკების მხრივ.

ჟორესპონდენცია „გლეხის ბიბლიოთეკის“ შესახებ უნდა გადაიხიზავნოს შემდეგი მისამართით:

ტფილისი, რუსთაველის პროსპ., № 8, გამომცემლობა „საბჭოთა კავკასიონი“.


19
25
97

გამოცემების საბჭოთა კავკასიონი.

ვაზის წარიგრი გასხვლა.

ვაზის წესიერად გასხვლა ყველა მევენახემ აუცილებლად კარგად უნდა იცოდეს. როგორი წესითაც არ უნდა იყვეს ვენახი გაშენებული, მაღლარათ, ოლიხნარათ, დაბლარათ, სარზედ, თუ მართულზედ, ეს მუშაობა დიდი ცოდნით და სიფაქიზით უნდა იყვეს შესრულებული.

ვაზის გასხვლას რქების (ლერწის) გამორჩევას ეძახიან, მათს შოშორებას, ან შეჭრა-შემოკლებას. ვაზის გასხვლა სწორედ იმ დროს ზდება, როცა ვაზი მძინარეა: გვიან შემოდგომაზე, როცა ვაზს ფოთოლი დასცვივა, ან ზამთრის თბილ დღეებში, ან ადრე ვაზაფხულზე, მანამ ვაზი გაიღვიძებდეს—ტირილს დაიწყებდეს. ვაზი რომ არ გასხლულიყო, მოუკლელათ დატოვებული ყოფილიყო, გაიზრდებოდა, მართალია გააბამდა მრავალ ტოტებს (რქებს), მაგრამ ეს ტოტები ან სულ უნაყოფო იქნებოდნენ, ან არა და წვრილ ნაყოფს დაისხამდნენ და ვაზი კრიკინას დაემსგავსებოდა. თუ ამგვარ ვაზს ხე ედგმებოდა ახლო, მისწვდებოდა მას, ავიდოდა, მოეფინებოდა მის ტოტებს, ხოლო წინააღმდეგ—იგი გაენთხმოდა მიწაზედ და მრავალ წვრილ ტოტებს დაიყრიდა. ამგვარ ვაზს წარმოადგენს (სურ. 1).



სურ. 1. მიწაზედ გაფენილი, გაუსხლავი, შეუყელავი და უსარო ვაზი.

მიწაზედ განთხმული ვაზი ბევრს ენახვება და ხეზე ასული ჩვენ ტყეებში ხომ ყველგან მოიპოვება. ცხადათ საქართველოში უცხოური დროიდან, როცა ადამიანმა დაიწყო ვაზის მოტრამოშენება. უცხოური ვად ვაზის თვისებამ დააფიქრა და მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ვაზის დასაყრდნობათ სარი, ან ხე სჭარია. თან ბუნების პირობების მიხედვით საჭაროა სხვადასხვა წესები გაშენებისა, მოვლისა და გასხვლისა. მართლაც გასხვლა ვაზის ზრდას და ნაყოფიერებას ასწორებს. გასხლული ვაზის ნაყოფი ყოველთვის უმჯობესაა ღირსებით გაუსხლავი ვაზის ნაყოფზე. ყოველთვის გასხლული ვაზის ყურძენი და ღვინოც გაუსხლავი ვაზის ღვინოზე და ყურძენზედ მაღლა ხდგას.

ტოტების გამორჩევა გამოჭრით ღონიერდება ვაზი, მისი ძალა მუშის სურვილისამებრ დატოვებულ ტოტებში მიღის და ეს ტოტებიც კარგად ასაჩუქრებენ მომვლელს; ვაზი ახლდება და უბრალოდ არ ხარჯავს საკვებს ზედმეტ ტოტების გამოსაკვებათ, რომელნიც გაუსხლავ ვაზზე მრავლად არის ხოლმე.

წესიერი გასხვლა ყოველთვის სასურველ სარგებლობას იძლევა, როცა მუშას კარგად და გარკვეულად სხვლის წესები შესწავლილი იქვეს.

ყოველივე ტოტის გამოჭრას ან მის დამოკლებას მიზნათ აქვს, რომ მოსახმარი საზრდო-საკვები დაუბრუნდეს დატოვებულ ტოტებს რათა ამითი ისინი უფრო გალონიერდნენ. ვაზის წვენი აძლიერებს მოკლედ გასხლულ რქებზედ მყოფ კვირტებს. თუ ჩვენ ყველა ტოტებს თანასწორ სიგრძეზედ გავსხლავთ, მაშინ ახლად გამოღებული ყლორტები ცოტად თუ ბევრად ტოლ-ტოლები იქნებიან. თუ ზოგიერთი ტოტები გრძლათ გაისხლა, მაშინ ეს ტოტები მეტად გაიზრდებიან და ყოველივე მათზე დატოვებული კვირტიდან გამოსული ყლორტი უფრო სუსტი იქნება, ვიღრე იმ ტოტებიდან გამოსული ყლორტები, რომელნიც მოკლედ იყვნენ გასხლულები.

ვაზში წვენის მსვლელობის შეფერხება ვაზის ზრდის შეჩერებას იწვევს, სამაგიეროდ კი ნაყოფიერებას გაადიდებს; ასეთ მოვლენას ახდენს მაგ. რქის გაბმა, ან კიდევ მისი დაკავება, ან დარკალება სარჩე, რადგან დახრილ-დაკავებულ რქაში ისე ადვილად არ მოძრაობს ვაზის წვენი, როგორც პირდაპირ მდგომ რქაში.

ადგილ მდებარეობის მიხედვით ვაზს ბევრნაირად აყენებენ. უნდა ვიკოდეთ, რომ სანაყოფო რქის გამოყვანა ყოველგვარი ტა-

ნიანი ვაზისთვის საერთოა, მაღლარია იგი, თუ დაბლარი, თუ ოლინ-ნარი. ამისათვის გამოვარკვით, თუ როგორ მავილია საზოგადო საუკეთესო რქა: შემჩნეულია, რომ ვაზი ნაყოფს მდ. უკანტუჭიდას იძლევა, რომელნიც ერთ წლიან რქაზედ იმყოფებიან და მასთანვე ეს რქა გამოსულია წარსული წლის ტოტზე და არა ამაზედ ხნიერზე. (სურ. 2). აქ, ძველ ვაზზე გამოსული ტოტი ზ უნაყოფოა და ნაყოფიანებია მხოლოდ შემდეგი ტოტები: ე, ვ, და ზ, რადგანაც იგინი გამოსულია შარშანდელ ვაზის ტოტიდან—დ. ეს მთავარი წესი სულ მუდამ უნდა ახსოვდეს ვაზის მუშას, რანაირი ტანის ვაზსაც უნდა სხლავ დეს იგი—მაღლარს, თუ დაბლარს. ამ რქის (გ) სანაყოფოდ დატოვება, გაჭრა გრძლათ ხელსაყრელი არ არის. დასაშვებია მხოლოდ მისი გასხვლა სამამულეთ, ანუ დანეკვა ორ კვირტზე. მომავალ წელს შესაძლებელი გახდება მასზედ სანაყოფო რქის გამოყვანა.

საზოგადოთ ვაზის გასხვლა უნდა სწარმოებდეს ვაზის ლონის მიხედვით: თუ დავტოვებთ მრავალ კვირტს, ამას ვაზი ვერ აიტანს; მართალია იგი მრავალ ტოტებს გამოიტანს, კარგად დაისხავს, მაგრამ წვრილ მარცვლიან მტევნებს და აი ამისათვის მიმდინარე წლის ნაზარდი ტოტებიდან მომეტებული ნაწილი სრულიად უნდა მოვაშოროთ ვაზს და დასატოვებლები უნდა შევამოკლოთ. დატოვებული ტოტების სიგრძის მიხედვით განირჩევა გრძლად და მოკლედ გასხვლა. თუ ვაზზე დავსტოვეთ ერთი ან ორი რქა და თითო რქაზედ არა უმეტეს ორი სამი კვირტისა ე. ი. დავნეკათ, ამას მოკლედ სხვლას ეძახიან. თუ ნეკების გარდა დავტოვეთ გრძელი რქები, ორი ან სამი და თითო რქაზედ რვიდან თორმეტამდე, ან მომეტებული კვირტი, ეს გრძლად გასხვლა იქნება. ვაზზედ დატოვებულს მოკლე ორ სამ კვირტიან რქას სამამულეს, ანუ ნეკს ეძახიან და გრძელს კი სანაყოფოს, ან ზოგან საკავებელს, ზოგან გაბმულას.

საზოგადოა ვაზზე ვტოვებთ ერთს გაბმულას, ან საკავებელს, ან იშვიათად ორს; ოლიხნარზედ კი მომეტებულს ვაზის ლონის შეფარდებით.

სხვლას რომ ვიწყებთ, უმთავრესი ყურადღება უნდა მივაჭციოთ სანაყოფო რქების შერჩევას და მათს განწყობილებას ვაზზე. რქის ღირსების შესახებ უნდა ითქვას, რომ ის რქა, რომელიც საშუალო სისქისა და ლონისაა, რომელიც კარგად არის შემოსული, ნაყოფიერია უფრო, მინამ სქელი რქები, რომლებზედაც მართლა ლო-

ნიერი ყლორტები ჩნდებიან, მაგრამ ეს ყლორტები ხშირად /უნაყოფო/ ფორმისაა.



სურ. 2 ძველი ვაზი. გ. უნაყოფო ტოტი. ე, ვ, ზ, სანაყოფო ტოტები. დ, ორი წლის ტოტი. ა—ბ, მიმართულება ტოტის გადასაჭრელად.

დაჭრა იმდენ წვენს ალარ დააკარგვინებს, როგორც გადაჭრა მუხლსა და მუხლს შეა.

ადგილ მდებარეობის მიხედვით, როგორც მევენახეობის უცხო ქვეყნებში, ისე ჩვენში სხვადასხვა ტანის ვაზი გამოჰყავთ, რაც ადგილობრივ უხსოვარი დროიდან შემოუღიათ: დაბალ ნესტიან ადგილებში მალლარი, უფრო ნაკლებად ნესტიანებში—ოლიხნარი, მთაგორიან ადგილებში, მშრალ ვაკეებში—დაბლარი, მას— სურ. 3 ევაზის რქა: ა—ბ მუხლებრამ უმეტესად, როგორც სხვა ქვეყნებში გადაჭრის მიმართულება.

ერთობლივი
ვაზის ტანი მაყლოფ მუხლები
რომ არ წავიდეს, ვაზს დახე-
კვა სჭირია ხანდახან, ისე
როგორც ნაჩვენებია სურ. 2.
რქის გადაჭრა უნდა ხდებო-
დეს მუხლსა და მუხლს შეა
იმ გვარად, რომ ჩანაჭრი
ჭვირტის გასწვრივ ზოდიო-
დეს, თუ ვაზის გასხვლა ხდე-
ბა ჩვეულებრივ დროს, ხოლო
უკეთუ დაგვიანებულია და
ვაზი იცრემლება, გადაჭრა
საუკეთესოა ზედ მუხლზედ
(იხ. სურ. 3). მუხლზედ გა-



ში, ჩვენშიაც გავრცელებულია ყველგან უფრო დატლაში ვმოქმედი დაბალი ტანის ვაზი, სამ ჩარექიდან დაწყობილი უცირტჩამის უცირტჩამის სიმაღლით.


კარგს გასხვლას კარგი ცოდნა და ოსტატობა და დაკვირვება უნდა; გასხვლის წესები კარგად რომ შევითვისოთ, უმჯობესია, გასხვლის შესწავლა ვაზის გაშენების დღიდან დავიწყოთ, ე. ი. ვაზის დარგვის პირველ წლიდან მის ხნიერებაში შესვლამდე. ბოლოს გავარჩიოთ სხვლა იმ ვაზებისა, რომლებიც მხოლოდ განსაკუთრებულ ადგილებში არიან გაშენებული, როგორიც არიან მაღლარი და ოლიხნარი.

საქართველოში ძველად, ფილოქსერის გაჩენამდე, ვენახის გასაშენებლად მთარჩევდენ ხოლმე კარგს რქას, ჩაჰურიდენ ბაგათ არხებში შორი შორს და შემდეგ გადაწიდვნით გაავსებდენ ვენახს ვაზით. როცა ჩვენს ვენახებს ფილოქსერა მოედო, ასეთი ძკლებური წესი, ცხადია, აღარ ვარგა. მაინც ზოგან კიდევ ამ ძველებურ ჩვეულებას მისდივენ, რაც უკვე საზარალოა. შრომა და ხარჯი ტყუილიდ იკარგება, ფილოქსერა უსათუოდ გაუჩნდება ვაზს და ადრე თუ გვიან გადაახმობს. ახლა ჩვენი ვაზი ამტრიკულ საძირე ვაზზე დამყნილი უნდა დაირგას.

მივყვეთ წლითი წლობით ვაზის სხვლას დარგვიდან დაწყობილი: ვთქვათ, პირველ წელს ვიშოვნეთ გაზაფხულზედ ნამყენი ვაზია ან ჩვენ გამოვიყვანეთ, გავსხალით ერთს ხილულ კვირტზედ, დავრგეთ და ვზრდით. ახლად დარგულ ვაზს ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ წამლობაც და გათოხვნაც, კარგი მოვლა და ფაქიზობა უფრო მეტად ეჭირვება, მინამ ხნიერ ვაზს; პირველსავე ხანში რომ არ დაგვეჩიგროს, არამც თუ ხანში შესულ ვაზებში, არამედ ახლად დარგულებ შორის, არ უნდა ითესებოდეს არც სიმინდ-ლობიო, არც თუ სხვა რაიმე მცენარე.

გახარებული ვაზი ჩვენ უნდა გავსხლათ ან პირველსავე წელს, ან შემოდგომაზე, ანდა უმჯობესია ადრე გაზაფხულზე, მეორე წელს ორ ხილულ კვირტზე (იხ. სურ. 4).

ზაფხულში ვაზს ორ ტოტზე ნაკლები არ ექნება, რომლიდანაც შომავალში ძირის ტოტი უნდა გავსხლათ სამს კვირტზედ და ზევითა ტოტი უნდა სრულიად მოვაშოროთ, ისე როგორც ნაჩვენებია წერტილებით სურათ 5-ზე (იხ. სურ. 5) და ამ გვარად ჩვენ გვექნება მესამე წლის გაზაფხულზედ ისეთი ვაზი, როგორც სურათ 6-ზეა.




ურ. 4. მეორე წლის ნახარები გაზი ორ ხილულ კვირტზე გასხლული. იმავე მესამე წელს გაზი გამოიტანს სულ ნაკლებ სამს ტოტს და პირველად მოისხამს ნიშანს—ორ სამ მტევანს (სურათი 7). იმავე წელს გვიან შემოდგომაზედ; ან გაზაფხულზედ ჩვენ ამ გაზს გავსხლავთ—ძარის რქას ოთხს კვირტზედ და დანარჩენებს სულ ავაჭრით და მოგა-შორებთ, როგორც წერტილებით ნაჩვენებია სურათ 7-ზე. რასაკვირ-ველია, ჩვენ ვიხელმძღვანელებთ იმ წესით, რომ კვირტის გას-წვრივ ალმაცერად იყვეს რქა ჩაჭრილი, როგორც ამ შემთხვევაში, ისე შემდეგშიაც. აღრე გაზაფხულზე მეოთხე წელს გასხლული გაზი იქნება ისეთი, როგორც სურათ 8-ზეა. იმავე მეოთხე წელს ზაფხულ-ზი გაზი მოსავალს მოიმატებს და ოთხიდან ექვსამდე კარგს მტევანს მოიბამს (იხ. სურ. 9).


၁၅. ရွှေခြင်းပြန်လည်သုတေသနများ
အမြတ်ဆင့် ပိုမိုကြည့်ရသူများ
အမြတ်ဆင့် ပိုမိုကြည့်ရသူများ
အမြတ်ဆင့် ပိုမိုကြည့်ရသူများ

၁၆. ရွှေခြင်းပြန်လည်သုတေသနများ
အမြတ်ဆင့် ပိုမိုကြည့်ရသူများ





სურ. 6. ორი წლის ნახარები ვაზი სამს ხილულ კვირტზე გასხლული
ამ ხნიდინ ვაზი დასრულებულია და თუ სარჩედ და ჩვენებური
წესით ვაყენებთ, ახლა უნდა მივცეთ საკავებელი და ნეკი; ძირის
რქა ნეკათ ორ კვირტზედ და მეორე ზევითა საკავებლად, დანარჩე-




სურ. 7. პირველად ნაყოფ გამოლაშუ-
ლი, მესამე წელში გადამდგარი ვაზი.

ნები კი უნდა დავაკრათ, როგორც ნაჩვენებია სურათ 9-ზე.
ამ გვარად ოდრე გაზაფხულზე
ჩვენ გვექნება გასხლული ვაზი,
ისეთი, როგორიც ნაჩვენებია
სურათ 10-ზე.

თუ ჩვენ გვინდა დავაკავოთ,
როგორც ეს მიღებულია ჩვენში,
და შევყელოთ სარჩედ, მას ისე-
თი სახე ექნება, როგორც სუ-
რათ 11-ზეა. ზაფხულში კი ეს
ვაზი, მშვენივრად მოსხმული,
შეფურჩნილი, მოვლილი და ნა-
წამლი თავის დროზედ იქნება
იმ სახისა, როგორც ეს სურათ
12-ზეა ნაჩვენები. თუ მართულ-
ზედ გავაკარით, მაშინ ზაფხულ-
ში ისეთი შეხედულება ექნება,
როგორც სურათ 13-ზეა ნაჩვე-
ნები.

როგორც ჩვენებურად სარჩედ
დაყენებული ვაზის სხვლა, აგ-
რეთვე მართულზედ გაბმულისა,
რომელსაც საფრანგეთის მეცნი
ერის მევენახის გიუოს გასხვლას
ეძახიან, ერთმანეთის მინაგვრე-
ბია. გაბმულა, ან საკავებელი
სრულიად ეჭრება ყოველ წლივ
და ნეკზედ გამოსული ორი ტო-
ტიდან ერთი დაბალ ნეკად კეთ-
დება და მაღალი—ზევითა კი სა-
კავებლად, ან მართულზედ გა-
სურ. 8. მეოთხე წელს გასხლულს ვაზს
საკრავად, როგორც ეს ნაჩვენე-
ბია წერტილებით. სხვლის ეს
წესი ძლიერ მარტივი და ადვილი შესასწავლია და სხვა გასხვლის წე-
სებთან შედარებით უპირატესობა ამ გასხვლას უნდა მივცეთ.





სურ. 9. ზაფხულში დარგვიდან მეოთხე
წელს ოთხს ხილულ კვირტზე გასხლულს
ვაზს გამოუტანია ოთხი ტოტი და მოუ-
სხავს ყურძენი.

თუ კი დესეტინა 5000 ათასი ვაზით მოგვცემს, რაც გამოცდი-
ლებით დამტკიცებულია იმავე აღვილებში, იმდენსავე მოსავლის
რაოდნობას და ღირსებით უკეთეს ღვინოს, მაში რათ გაშენებთ ამო-
დენა ვაზს? იმატომ რომ ძველი ჩვეულებისაგან თავი ვერ დაგვიხ-

საქართველოს ვენახებ-
ში გასხლდა წევენტენი
ბევრანტი და ბევრანტი წევ
ზარალი ეძლევა ჩვენ ვენა-
ხებს. ბევრჯელ საუკეთე-
სოდ გასხლულ ვენახთან
შეგხვდება ვენახი, რომე-
ლიც წესირად არ არის
გასხლული: სანაყოფო ან
სამამულე თავის ადგილას
არ არის დატოვებული, ან
კიდევ მრავალი საკავებე-
ლი მიცემული. ერთი სი-
ტყვით ვაზი დაძალებუ-
ლია. ვხედავთ, ვენახს და-
ნეკვა სჭირია, მაგრამ პატ-
რონი აძალებს მას, ასხმე-
ვინებს ზედმეტს და ამით
მომავლისათვის ასუსტებს.

ასეთ სურათს შეხვდე-
ბით კასპის, ხიდისთავის
და მეჯვრიხევის რაიონებ-
ში, სადაც დესეტინა ვენახ-
ზე გაშენებულია 15 ათა-
სიდან დაწყობილი 20 ათა-
სამდე ვაზი. ნუ ვიტყვით
თუნდა იმას, რომ რამო-
დენა ხარჯი სჭირდება ამ
ხშირად გაშენებულ ვაზს,
ახლა მხოლოდ გასხვლა და
სხვა მოვლა ჩავაგდოთ ან-
გარიშში.



სურ. 10. მეხუთე წელს ნასხვლავი ვაზი. ძირის ტოტი კვირტიანი ნეკი, ანუ სამამულე და ზევითა სანაყოფო, ანუ საკავებელი ცხრა კვირტზე გასხლული.

როგორც ეს ფილოქსერის გაჩენამდე იყო ხოლმე.

ზოგან ჩვენში ნამყენი ვაზის გავრცელებასთან ერთად შემოუღიათ ყირიმულის მინაგვარი წესით ვაზის გასხვლა, ე. ი. ყოველ წლივ


წევია, მაგრამ ამას კი ვივი-
წყებთ, რომ ჭრაფულუშებულ
ზის სხვადასხვა კუნძულების ზე
მავნებლები ამ იყო ისე გა-
ვრცელებული ჩვენში და ვე-
ნახში რაც ვაზი იდგა ყველა
მათგანი მოსაგალს იძლეოდა.
ახლა კი ეს ასე არარის. ხში-
რად დარგული ვაზი მავნებ-
ლების გავრცელებას ხელს
უწყობს და მევენახე კი ზა-
რალობს. ვარაუდით დესე-
ტინაზე 6000 ვაზის მეტი არ
უნდა დაირგას და არც ისე
ხშირად, როგორც ნაჩვენებია
(სურ. 14).

ან კიდევ მეტებსა და კავ-
თისხევის რაცონში, სადაც
კარგი ადგილებია ვაზისათ-
ვის, ძველის ძველად მიღე-
ბული წესი გაბმულა (სურა-
თი 15) ახლა აღარ გამოდ-
გება, რადგანაც იქ ფილოქ-
სერისაგან დასუსტებულ ვაზის
იმდენი ძალა აღარ შესწევს,
რომ ხანდახან ორორი ნეკი
და ერთი დიდი გაბმულა გა-
მოზარდოს და კარგი ყურძე-
ნი მისცეს პატრონს. აი იქ
უნდა შეცვლილ იყვეს მუშა-
ობა და ვაზის ძალ ღონის მი-
ხედვით ჰქედებოდეს მისი გა-
სხვლა და არა ჩვეულებრივ,

ვაზის დანეკვა, რაც მცირე
მოსაფალს იძლევა და ამ მხა-
რეს არ შეეფერება. ასეთი
დანეკვა შემოღებულია საჩე-
რეში და იქაც შეცვლა და
მოფიქრება არის საჭირო შა-
ზედ, თუ როგორ უნდა ისხვ-
ლებოდეს ვაზი (სურათი 16).

ასეთივე დაკვირვებით გა-
სხვლა უნდა ვაზს როგორც
დაბლარზე, აგრეთვე ოლიხ-
ნარზე. ჩვენში ოლიხნარზე ვა-
ზის გამოყვანის წესი არის
გავრცელებული რაჭა ლეჩ-
ხუმში, ზოგან გურიაში და
დაბლა იმერეთში. ეს წესი
სანაქებო წესათ უნდა ჩაით-
ვალოს, როგორც საშუალო
დაბლარსა და მაღლარს შო-
რის. ამგვარი წესი შემოღე-
ბულია ზოგიერთ უცხოეთის
ვენახებიან აღგალებში უმე-
ტესად იტალიაში, ზოგან სა-
ფრანგეთში და ისპანიაში; იქ
სანაქებო მაღალ ღირსების
მოსაფალს იღებენ, იმიტომ
რომ წესიერად გასხვლას აქ-
ცევენ იქ ჯეროვან ყურადღე-
ბას. თუ მხედველობაში მივი-
ღებთ საზოგადო წესს ნაყო-
ფის გამოყვანაში და ამას სურ. 11. მესუთე წელს გასხლული და
შეუფარდებთ ჩვენს ოლიხნა-
რებს, უსათუოდ კარგი მოსაფალი გვექნება ჩვენც.

დაკვირვება და ცოდნა არის საჭირო და თუ გაშსლავ-
მა კარგად არ იცის რათ და როგორ უნდა გასხლას ვაზი, უმ-






სურ. 12. მეტუთე წლის ვაზი,
შეფურჩქნილი და მოვლილი. და-
ბალ მოკლე რქა ნეკუდ გამო-
სულიდან, შემდეგ ში ერთს ტოტს
დანეკამენ და მეორეს საკავებ-
ლათ გაუშვებენ და ასე შემ-
დეგ შიაც. თუ მაღლა-მაღლა წა-
ვიდა ვაზი, მას დასწევენ დაბ-
ლა, ძველ ვაზზე ნეკის დატო-
ვებით.


ჯობესი იქნება სრულიად არ გასხლას იგი. რადგან ზარალის მეტს
არაფერს მოუტანს (სურათი 17).

ის რაც ითქვა ოლიხნარზე, უნდა ითქვას მაღლარზედაც; საზო-
გადოდ მაღლარი დასავლეთ საქართველოში ბევრია; თუ ადგილობ-
რივი მაღლარის ვაზი მოასპო ფილოქსერამ, იზაბელას და ნოას ვაზს
ბევრგან ვხედავთ. მაგრამ ეს ვაზები უყურადღებოდ, მოუგლელად
შეჰქედლებიან მურყანს, იფნს, ხურმას, ნაკერჩხალს და სხვა ხეებს და
პატრონი თუ მიხედავს მაშინ, როცა ყურძენი მოუმწიფდება.



სურ. 13. მეხუთე წლის ვაზი, ორს კვირტზე გასხლული ნეკით და ათს კვირტზე საკავებლით, რომელიც გაჭრულია ძირის მავთულზე. კვირტებიდან გამოსული ყლორტები აკრულია მეორე მართულზე და თავები დაკვეცილები აქვთ, რომ უკეთესათ დამწიფდეს მაზედ მო-
სხმული ყურძენი.

უნდა ვსთქვათ, მაღლარები საზღვარ გარეთ ქიდევ ბევრგან
არის გაშენებული, მხოლოდ ნამყენებია ამერიკულ ვაზზედ და მევე-
ნახეები არამც თუ სხლავენ, მოვლა-ექიმობასაც არ აკლებენ; იქ ისე



სურ. 14. კასპში, მეჯ-
ვრიხევში და ხიდის თა-
ვის რაიონებში ასეთი
ხშირათ დარგული და
მრავალ საკავებლიანი
ვაზი, ხშირათ დაუნე-
კავი, არა ხელსაყრელი დ
უნდა ჩაითვალოს, მას
გათხელება სჭირია რომ
უფრო მეტი მოსავალი
მისცეს მევენახეს.



სურ. 15.
მეტებსა და
კავთიხევის
რაიონში
რამდენიმე
ნეკებით და
გძელი გაბ-
მულით არ
უნდა ჩაით
ვალოს ხელ-
საყრელათ და აქ გასხვლის შეცვლა არის უსათუოთ საჭირო.

უვლიან, როგორც ჩვენ უვლით დაბლარ ვენახს. ბევრგან დასავლეთ
საქართველოს ბუნებასთან შეფარდებული პირობებია შარობ-
რად გასაშენებლად.



სურ. 16. გადამეტებუ-
ლათ დანექვა ვაზებისა
საჩხერის რიონში.

ახლა ისეთი დროა, რომ მცირე ნაწილი ჩვენი ამაგისა არ უნ-
და იყარებოდეს, მით უმეტესათ დასანანია, რომ ეს ჩვენი დანაკ-
ლისი წარმოსდგება ჩვენი უცოდინარობისაგან და დაუდევრობისაგან.



სურ. 17. ალიხნარი გაუსხლავი ვაზი.

მ.შ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ მალლარსა და მეტადაჭირება და მოვლა და წამლობაც არ მოვაკლოთ ისე, როგორც ჟაფრე-ლებმა გამოიჩინეს თავიანთ მალლარების მოვლაში.

მდიდარია ჩვენი ქვეყანა და ჩვენ ღარიბები ვართ, იმიტომ რომ არ ვიცით როგორ უნდა ვისარგებლოთ ჩვენი ბუნების სიმდიდ-რით. და კავებული გასხლული მალლარი (სურ. 18).



სურ. 18. მალლარი. გასხლული და დაკავებული ხის ტოტებზე.

გაზის გასხვლის ძირითადი ხაერთო წესები:

1. თვი იეული ვაზი უნდა ისხველებოდეს ვაზის ჯიშის და ჯი-ლაგის და მისი ძალლონის და ხნიერობის მიხელვით.
2. ვაზის ძალლონის გამოსარკვევევათ გამოტანილ რქების რაო-დენობას სჭირია დაკვირვება. გასხვლის დროს დატოვებული უნდა

იქმნეს კარგად შემოსული კვირტიანი რქა; თუ რქებზე ტარმატაა, წარმოშობის რიცხვი უნდა გადიდდეს.

3. გასხვლის დროს დასატოვებლად უნდა არჩეულ იქმნეს სრულიად საღი, უზაღო, და საშუალო რქები. სქელი, მეტად ლაღი რქა ყურძენს ან სულ არ იძლევა, ან მეტად მცირეს, სუსტზე კი ყურძენი კარგად ვერა მწიფდება.

4. გასხვლის დროს რაც შეიძლება ნაკლები ჭრილობა უნდა მიეცეს ვაზს და ეს ჭრილობები შეძლებისდაგვარიდ ერთ მხარეზე მოექვეს. მრავალი ჭრილობა წვენის მოძრაობას უშლის და ვაზს ასუსტებს.

5. დასატოვებელი რქა მუხლზე უნდა გადიჭრას დაგეზებით.

6. ვაზის გასხვლა უნდა სწარმოებდეს მისი ძალის დროს, შემოდგომაზე და ზამთარში, სადაც თბილი ზამთარი იცის და ადრე ვაზაფხულზე, ყანვიან დღეებში შეჩერებულ უნდა იყვეს გასხვლა, რადგან რქა ამ დროს ადვილად იმტკრევა, ან სკდება და ზიანდება.

7. სასხლავად უნდა იხმარებოდეს სასხლება დანა, ან ვაზის მაკრატელი. სისწრაფისთვის უმჯობესია ვაზის მაკრატელი. სასხლავი იარაღი ზუდამ ბასრი, კარგად გალესილი უნდა იყოს. მაკრატლით სქელი ძეველი ვაზი არ უნდა იჭრებოდეს, რადგან კარგ რქის გასხვლის დროს ის ხეირიანად აღარ გასჭრის, არამედ დაუეუავს რქას და მავნე ჭრილობას მისცემს.

8. მოჭრის დროს რქა არ უნდა მოიღუნოს და მოიკავოს, რადგან ამის გამო ის სკდება და ზიანდება.

9. სქელი და ძველი ვაზის მოსაჭრელად უნდა იხმარებოდეს ხერხი და არა მაკრატელი, რომელიც მას დახეთქავს; თვით მაკრატელი კი დაჩლუნგდება და გაფუჭდება..

10. კარგათ გასხვლისათვის ვაზი უთუოდ უნდა მზადდებოდეს გაფურჩქვნის დროს, როდესაც ყველა ზედმეტი ყლორტები უნდა ჩამოშორდეს ვაზს, სანამ ისინი ნორჩებია. და ადვილი ჩამოსაშორებელია ხელით.

11. ძველი ვაზი, რომელიც ერთს ან ორს სუსტ რქას იძლევა, უნდა მოისპოს სრულიად, რადგან მისი გამობრუნება უიმედოა.

12. ახალშენი, ამერიკულზე დამყნილი ვაზი, წესიერი გასხვლის გარდა ჩვენგან დამუნობილ ვაზის ფესვების და ამერიკული ვაზის ყლორტების თავის დროზე შეცლას მოითხოვს, რაც დაკვირვებით უნდა

სწარმოებდეს დარგვიდან სამი ოთხი წლის განმავლობაში კუნძულის
მომავალი ბედი ხშირად ამაზედ არის დამოკიდებული.

13. ახალშენი ნამყენი ვაზი პირველ წელს ერთ კვირტჭე უწოდდა
გაისხლას და გაზაფხულზე მეტად ფაქიზად უნდა იფურჩენებოდეს,
ზედმეტი ყლორტების ჩამოშორებით, რომ განვითარდეს მარტო ნა-
ვარაუდევი ერთი ყლორტი.

14. ახალშენს მეორე მესამე წელიწადსაც იგივე მოვლა სჭირია
იმ განსხვავებით, რომ ორი სამი კვირტი უნდა დარჩეს გასხვლის
დროს. მესამე-მეორთხე წელიწადს ვაზი უნდა დაუახლოვდეს დასაკრავ
მართულს, ან სარს. მესამე წელიწადს უნდა აღიზარდოს ძლიერი და
მოხდენილი ვაზის ტანი. წესიერ გაფურჩქვნას და ახვევას ამისათვის
დადი მნიშვნელობა აქვს.

15. ვაზის მავთულზე გაბმა ან გადაყვანა საკავებლად სარჩედ
ვაზის ძალლონებედ არის დამოკიდებული, რაც ხდება მეორთხე ან მე-
ხუთე წელიწადს.

16. სხვა და სხვა ამერიკულ საძირებედ სხვა და სხვა ნაირად
ვითარდება ვაზი და გასხვლა და მოვლა ამის მიხედვით უნდა ხდე-
ბოდეს.

17. გვიან, გაზაფხულზედ, წვენის დაძვრის შემდეგ შეიძლება
ვაზის გასხვლა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვაზი მეტად ლალობს
და გრძელ რქებს იძლევა, ან რთვილია მოსალოდნელი. ასეთი გვიანი
გასხვლა ვაზს ასუსტებს და ასხმოიარებს.

18. თუ რომელიმე ჯიში ბერწობს და ნაყოფს არ იძლევა, სა-
ჭიროა მასი გადამყნობა მსხმოიარე ვაზის ჯიშით და ამისათვის შერ-
ჩეული რქით.

სტამბა „ზარია გოსტოკა“-სი, საშა წულუკიძის ქ. № 4.
შეკვ. № 1108 * ტირაჟი 5000 ც. * მთავლ. 186.

მოიპიოთეთ

ერთობული

გიგანტის

ჰარტიის კომუჯრედებში და ახალგაზრდათა კომუნისტ. უჯრედებში, სოფლის კომპერატივებში, აგრონომებთან, აგრონომიულ პუნქტებში, როდესაც ქალაქში ჩამოხვალთ, ყველა წიგნის მაღაზიაში, „გლეხის ბიბლიოთეკის“ წიგნები.

მეგენახეობა—მეღვინეობა.

1. სავენახეს დაგეგმვა.
2. ვენახის ნიადაგის დამუშავება.
3. ვაზის გასხვლა.
4. ვაზის მავთულზე დაყენება.
5. ფილოქსერა და მასთან ბრძოლა.
6. ვაზის სენი.
7. ახალი ლვინის დაყენება.
8. ლვინის მოვლა.
9. ავადმყოვ ლვინის მოვლა.

ამ ჭიგნების გარდა, „გლეხის ბიბლიოთეკას“ აქვთ ჭიგნები
შემდეგ დარჩებილა:

მებოსტნეობიდან,

მემინდვრეობიდან,

მერძეობიდან,

მესაქონლეობიდან.

საქონლის საკვები,

მეცუტკრეობიდან,

მეფრინველეობიდან,

მეთამბაქონბიდან.

„გლეხის ბიბლიოთეკის“ სარედაქციო კოლეგია:

აბესაძე, ათაბეგოვი, გიგიბერია, კანდაუროვი, კვარაცხელია, კი-ცხოველი, მაისურიანი, სანაძე, ტიმოფეევი, დემურიშვილი.

თანამშრომლობენ: აბესაძე, ათაბეგოვი, ალნიაშვილი, ბიბილაშვილი, ვერმიშვილი, იაშვილი, კანდაუროვი, კვარაცხელია, კარბელაშვილი, კეცხოველი, კლეინი, ლომოური, ე. ერისთავი, მაყაშვილი, მაისურიანი, მირიანაშვილი მიხ., მირიანაშვილი ელის., ნაკაშიძე, პახუნოვი, სანაძე, სამადაშვილი, სტაროსელსკი, სულაკაძე, ტიმოფეევი მიხ. აჩოლოყშვილი, წერეთელი, ჭელიძე, ხოფერია, ელ. ერისთავი.



ეროვნული
ბიблиოთეკა